

140  
1986



# ՀՈՒՆԵՆՅՈՒՆ

10  
1986



მარტოზა: „კონკრეტული პერიოდ-ინჟინერული ინსტიტუტი“

მარტო ფეხბურთის თამაშითა და მდინარე ჩხარაში ჭყუმპალაობით კი არ ატარებენ, თურმე შრომა-დასვენების ბანაკშიაც ირჩებიან ბეჭითად და ნაყოფიერად. რუფო-თის მეფენახეობის საბჭოთა მურ-ნეობაში ვმუშაობთო, — გვითხრა, — ვთხოვნივო...

— შენ თოხისა რა გეცოდინება-მეთქი, — გვითხე გამომდელად.

— როგორ არ ვიცი, — მიბასუხა, — ჩემებს ზშირად მიეხმარები-ვარ. თოხი მარტო ასულტზე გაზრდილმა ბიჭებმა არ იციან, თო-



იცის ნაბო გიგაშვილმა — ცის ბახსნა მოზმრეაბასაპით უხარია პაჰს.

# „ოდეს კასსა დავჭიკვოს...“

**ანუ აზგაპი იზისა,  
თუ რა ფვლილი  
ზააქვთ თარჯო-  
ლეღ მოსფავლეიხს  
ჩარნობილის  
დახმარების ფონდში**

**ნუგზარ აფხაზავა**

ლ. იაობაშვილის ფოტო

მეგზურობა იმედა გურულმა, ახალთერჯოლის საშუალო სკოლის მოსწავლემ გაგვიწია. დილით კომკავშირის თერჯოლის რაიკომის მესამე მდივნის კაბინეტში მასთან ერთად ამ სკოლის დირექტორის მოადგილე იუზა ლიბრაძეც დაგვხვდა, სწორედ მან „ჩაბარა“ ჩვენი თავი მეხუთეკლასელ პიონერს.

იმედა, ჩანს, თავშეკავებული მოსაუბრეა, თუმცა შეეითხებზე დაუზარებლად იძლეოდა პასუხს. ჰოდა, გზაშივე შევიტყვეთ, რომ იგი და მისი ამხანაგები არდადეგებს



რაჲ ფიქრობს იმედა გურული? თუცა ვინ დაუღაჲს ჯღაპრს თორმეტიოდე წლის გიჲჲანს ფიქრსა და ოცნებას?



რემ... თუმცა, ჩემს თანაგვალს მეზობელთან, ნუგზართან ჩამოდის ხოლმე ზაფხულობით თბილისიდან მისი ნათებავი დათო, შესაფერ თხის უშუალოდ და ისიც მაშინვე ამოვიღებდა ხოლმე მხარში. ახლაც აქ არის, ჩვენთან...

— კარგი ბიჭი ყოფილა!  
— დიას...

ზოგი აქეთური ვეითხეთ ამეღს, ზოგიც — იქითური. ამასობაში ჩავედით კიდეც, სადაც უნდა ჩავსულიყავით, და ისე, რომ შრომაში ხელი არ შეგვეშალა, გავეცანით ახალთერჯოლელ მოსწავლეებს და მათ შრომით საქმიანობას.

აქ უკვე მერვეკლასელმა ნატო გიგაშვილმა იკისრა ინფორმატორის მოვალეობა. ნატო წლეულს, აბრილში აურჩევიათ სკოლის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანდ. მანამდე პიონერთუნი მუშაობის წრითაა გაუვლია, რაზმის საბჭოს თავმჯდომარე ყოფილა, და კარგი თავმჯდომარეც.

სწორედ ნატოსაგან შევიტყვეთ, რომ რუფოთის საბჭოთა მეურნეობასთან ურთიერთობა ახალთერჯოლელ მოსწავლეთათვის ახალი ხილი როდია თურმე. ყველაზე მეტად მეურნეობას შემოდგომაზე უჭირს ხოლმე მუშახელი — მოსავალს სწრაფად და უდანაკარგოდ უნდა აღება, დაყოვნება ამ დროს აუნაზღაურებელი ზარალის ტოლფასია. ჰოდა, სიმინდის ტეხვაა გაჩაღებული, სივას აღება თუ რთვოლო, „აბა, ჰე, ბავშვებო, ხელი წამოგეაფეულეთო!“ — ერთს კი შესძახებენ სიფთის თავაკეციბი და წითელყუსისხვევიანთა გუნდებზე მაშინვე ხალისიანი ყრიათულით შეესვვიან ყანებსა და ზვრებს.

— ასეა, — დამოწმდა ნატოს ნათქვამი იუზა მასწავლებელმა. — აი, აქ, გარშემო, სერებს რომ ხედავთ, — ხელით წრე შემოხაზა ჰაერში, — თითქმის სულ ამ ბავშვების გათოხნილია. თანაც რა გულისანად და ხარისხიანად!

— მამ, არ ეზარებათ მუშაობა?  
— ეზარებათო?..

თუ შრომას თავიდანვე შეჩვეული ხარ, როგორ შეიძლება ხელის

განძრევა დაგზაროს! თავად განსაჯეთ:

სასკოლო ვენახში ხუთასზე მეტი ძირი ეახია. ვენახს, რა თქმა უნდა, მოსწავლეები უყვლიან. პინოს ჯიშის ყურძენს (სამშაპანურე მასალას) 700-მდე კილოგრამს კრეფენ და აბარებენ, ციციქასა და ცოლი-კაურს — 500 კილოგრამს.

უკვე მეხუთე წელია, სკოლას კაცლის სანერგეც აძლევს გვართან შემოსავალს. სკოლის ახლომდებარე მდ. ხუტჩას ეროზირებულ ფერ-

**პიონერები — XII სემინარს**

აბრეშუმის ქვის გამოსაცეხებად მოაღებებთ.

სკოლის წინაზოში ბავშვებმა მშენიერი ხასხასა წითელი ვარდები გაახარეს. სხოვნის დღის სევდანიარევი ზემოდა თუ დიდების შემორიალთან გამართული შეკრება ან დეწლმოსილი ჰედავოგის გაცილების დღე, ყოველი ღონისძიება ამ ლამაზი ვარდების თაიგულებითაა ხოლმე დამშვენებული.



**ზუსაღეთ, როგორი შაგართაბით მიჩქარაან პიპაი სიმინე. დეპი სიმუშაო! რა სარაველა დაუღებათ წინ!**

დობობზე ბავშვებმა უკვე დარგეს 200 ძირი კაკალი. ეს დიდი საქმეა — ნიადაგიც დამაგრდება, გარემოც დამშვენდება, მაღელ კაცლის ნაყოფიც აჩხრიალდება კალათებში... სანერგის მესვეურნი გზათა მეურნეობასაც ამარაგებენ ნერგებით, ნორჩ ნატურალისტთა სადგურსაც, სასოფლო საბჭოსაც. მარტო 1984 წელს ამ სანერგემ სკოლის ე. წ. სპეცსახსრებს 1300 მანეთი შემატა.

მაღს იკრებს თუთის ხის სანერგეც. პირველი ნერგები მოსწავლეებმა სასკოლო სტადიონს შემოუბმწკრივეს გარშემო — მომავალში

სკოლის შენობის უკან საკურდლელ გეშართაბთ. მისი მოწყობის იღეა ამ სამიღვე წლის წინათ მაშინდელა მერვეკლასელ სპარტაკ ქემოკიძეს დაჰაბადებოთა. მერვე კლასმა იმ შე-



საპიონერო ორგანიზაცია  
საქართველოში

საპიონერო ორგანიზაცია  
საქართველოში



საპიონერო ორგანიზაცია  
საქართველოში

**პიონერები**

საქ. კომ. ორგანიზაცია

საპიონერო ორგანიზაცია საქართველოში

**10 თებერვალი 1986**

18.2.86



✿  
სკოლის  
შენიშნის  
წინ  
პარლამი  
პაპასხარის  
იღვამე  
და  
მისა  
მეგობრება.

ართმევს თავს ახალთერჯოლის მხარეში  
შუალო სკოლის 250-მდე მოსწავლეს  
რომელთა შორის 103 პიონერი და  
60 კომკავშირელია. როცა ნატო  
გეგავშელს ვიზივით, განსაკუთრე-  
ბით აქტიური პიონერები და კომ-  
კავშირელები დაესახელებინა, ხე-  
ლები გაშალა.

— ყოველი მათგანი აქტიურია, —  
უყოყმანოდ გვიასუხა. — გვერდ-  
ზე გადგომა ჩვენში არავის სჩვევია,  
ყველას ესირცხვილება საქმისა და  
ამხანაგის ღალატი... ოქტომბრე-



მოდგომაზე სამი კურდღელი შეი-  
ძინა, შრომის მასწავლებლის დახ-  
მარებით პატარა ფარდული ააგეს  
და 32-ვე ბავშვმა უყოყმანოდ იკის-  
რა ყურცქვიტების მოვლა-გამრავე-  
ლება. მის შემდეგ ყოველთვიურად  
აქედანაც საგრძნობი შემოსავალი  
შედის ხოლმე სკოლის სპეცსახს-  
რებში. ამჟამად გაზრდილ-გაფარ-  
თიებულ საყურდღლეში, რომელსაც  
უკვე ნორჩ ბიოლოგთა წრე პატ-  
რონობს, 30-მდე დიდ-პატარა კურ-  
დღელი დატუნებულია.  
ღიაბ, ყოველივე ამას, ბეჭით  
სწავლასთან ერთად, წარმატებით

✿  
ცოცხლ და —  
სულს  
მითითებათ  
სარამაღვით  
დასაგრული  
სიძინდები.  
  
ღაჯათიანი  
შრომის  
შემაღე  
არც  
მისარული  
დასაქმება  
ურინგი.



ლებსაც, სხვათა შორის...  
მაშინ შეკითხვათა წრე დავეიწ-  
როვეთ და იმათ დასახელება ვიზი-  
ვით, ვინც ამ ბოლო ხანს, შრო-  
მით სემესტრში გამოიჩინა თავი.

წამით შეყოყმანდა. უფრო ვეღარ  
თქვა და ჩამოგვითვალა: მეოთხე-  
კლასელი ღალი ქასრაშვილი, მეხუ-  
თეკლასელი იმედა გერული, მე-  
ექვსეკლასელი დათო ცხადაძე, მეშ-  
ვიდეკლასელები თამილა, ირმა, კა-  
ხა გურულები, მერვეკლასელები  
იმედა ცხადაძე და ვიტალი სახე-  
ლაშვილი, მეცხრეკლასელები თე-  
მურ ძიძიშვილი და ვლადიმერ კან-  
დელაკი, მეთექვსეკლასელი შალვა ცხა-  
დაძე და ბეგის სხვა. საკუთარი თა-  
ვი ნატომ, ცხადია, არ მიათვალა...  
ახლა კი მე მოგიყვებით, რა ვა-

კეთდა შრომა-დასვენების ბანაკში 4 იანვრიდან 3 ივლისამდე. მხოლოდ შრომით მიჩვეულებებს ჩამოვიღეთ-ლით. ჩამოვიღეთ იმ თანამშრომლებთან, როგორც ისინი თერჯოლის კომპარტიის რაიფოში წარდგენილ მოხსენებით ბარათშია აღწესებული:

1920 ბავშვ-დღის ნაცვლად ბანაკის ანგარიშზეა 2020 ბავშვ-დღე. გეგმით გათვალისწინებული 2500 მანეთის ნაცვლად შესრულდა 3400-მდე მანეთის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები.

გაითიხნა მეურნეობის კუთვნილი 17 ჰექტარი სიმინდი, 1,5 ჰა სოია, გამოირჩა (ცა გაუსხსნეს) 9 ჰექტარი ვენახი, აიყვლა (ააქრეს) 14 ჰა ვანი.

ამვე დროს, ბავშვებს არ დაიწუნათ და დაამუშავეს როგორც სასკოლო, ასევე ნორჩ ტექნიკოსთა სადგურისთვის გამოყოფილი ნაკვეთი.

თითოეული მოსწავლის საშუალო გამოუმუშავებამ 42 მანეთი შეადგინა, ერთი ბავშვ-დღის ღირებულება — 1 მან. და 80 კაპ.

ერთი დღის სამუშაოარი ახალ-თერჯოლელთა შრომა-დასვენების ბანაკში „ბიონერმშენში“ გადარიცხა, ერთსაც — მშვიდობის ფონდში, ხოლო კიდევ ერთი დღისა — ჩერნობილის დახმარების ფონდში.

ჩერნობილი...

ერთმაშად გაითავისეს ჩერნობილელი შრომელებისა და მათი შვილების დარდი და სატყვიარა ჩვენმა მოზარდებმა.

მოიტანეს თუ არა ვაზებებმა ჩერნობილის დატრიალებული ტრაგედიის ამბავი, სასწრაფოდ შეიკრიბა სკოლის პიონერული და კომკავშირული აქტივი. წაიკითხეს პრესაში გამოქვეყნებული მასალები, იმსჯელეს, იკამათეს, თავიანთი შესაძლებლობები აწონ-დაწონეს და...

და განა მარტო შრომა-დასვენების ბანაკში გამოუმუშავებულ ერთი დღის საფასური შეიტანეს ახალთერჯოლელმა პატარებმა ჩერნობილის დახმარების ფონდში... არა, მათ ამ ფონდში თავიანთი ხელით მოკრთველ კაღაში ალებული მეთ-

ლი თანხა — 325 მანეთიც გადა-რიცხეს.

— კიდევ მოვიფიქრებთ რამეს, — თქვა ირმა გურულმა, იქვე რომ იდგა და აქამდე საუბარში არ ჩაგვერტო...

ეს — მარტო ახალთერჯოლში... — მთელ რაიონში, — გვეთხრა თერჯოლის კომკავშირის რაიონის მდივანმა ლია ბუსკივამეძე, — ჩემდემტი შრომა-დასვენების ბანაკი მუშაობდა. ერთ თვეში 1050-მა მოსწავლემ 25000 მანეთის ნაცვლად 32140 მანეთის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები შესასრულა. ამ ბანაკის თითო დღის ნამუშევარმა, რომელიც ჩერნობილის დახმარების ფონდში გადარიცხეს, 700-მდე მანეთი შეადგინა.

აქვე გამოირკვა, რომ, გარდა ამისა, ამვე ფონდში საკუთარი ინიციატივით თერჯოლის 1-მა სკოლამ 1000 მანეთი გადარიცხა, ალისტუბის საშუალო სკოლამ — 100, სხვებმა — შეძლებისდაგვარად... ამვე დანიშნულებას მოხმარდა იაიონის პიონერთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვაში აღებული თანხა — 545 მანეთი. გარდა ამისა, ავერ, შემოდგომაც მოდგა კარს; მალე დაიწყება ასკილისა და ანულის ნაყოფის კრეფა; გაგრძელდება ჯართისა და მაკულატურის შეგროვება. და ჩერნობილის დახმარების ფონდს კიდევ შეემატება პიონერთა ალალი შრომით გამოუმუშავებულ თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი.

სწორედ ამაშია ჩვენი ძალის ერთ-ერთი მიმდევრობა: როცა მეგობარს უჭირს, თუ ჰეშმარტი პიონერი ხარ, თუ ნამდვილი კომკავშირელი ხარ, უბრალოდ — თუ ნაღდი კაცი, აღამიანი გვეია, განვქვერ ვადგები, თანატოლსა და თანამოაზრეს გასაჭირში მარტოს ვერ მიატოვებ. ავი თქველა კიდევ ძველთაგან: კაცი კაცითა და ღობე — ქავეთათ... და კიდევ: მამ მისთვისა და შვილ დღისთვისა... და ერთი: „ოღეს კაცსა დაეჭირვოს, მი-თნ უნდა მამა და თვისითა“, — გეხსომებათ, დიდმა შოთამ დაგვიტარა სახელმძღვანელოდ ეს უკვდავი აფორიზმი დიდებსაც და პატარებსაც.

## ქ ა მ ე ნ ე ნ მ ი ქ ა ქ ი

### ისა ლაშაზად გაწვიმდა

გუნი რომ თავზე  
მაწვიმდა —  
ილიმებოდა მთაწმინდა.  
ისე ლაშაზად გაწვიმდა —  
სული და გული გაწმინდა.

ხომ ლაშაზია ცა წმინდა,  
მე ღრუბლიანი ცაც მინდა.  
ისე ლაშაზად გაწვიმდა —  
გადაირია მთაწმინდა.

სადღაც ქარი რომ აწვივდა,  
ფრთა მოისინჯა არწივმა.  
თავ-პირი ჩამოიბანა  
აღვის ხემ,  
ცამდე აწვივლიმა.

ისე ლაშაზად გაწვიმდა,  
ისე ლაშაზად გაწვიმდა...  
გადაირია მთაწმინდა,  
ხომ ლაშაზია ცა წმინდა,  
მე ღრუბლიანი ცაც მინდა.

## პ ა მ ე ნ ე ლ მ ა გ ა რ ე ლ ი ზ ი ე ლ ი

### გოფის ნოემბერი

მთა და ბარი იღებება  
წითელ-ყვითელ ფერით.  
ქვეყნად ლაშაზ სიმღერებად  
მოღის ნოემბერი.

სილაღე და სისხლისე  
მოსდებია გულებს.  
ნოემბერო, ნოემბერო,  
გიძღნით თაიგულებს!

ჩვენი გული, ჩვენი ტამი  
შენ გავუფრენის მარად.  
აფრიალე დროში ცაში,  
ყველგან, მთა და ბარად!..

არე-მარე იღებება  
წითელ-ყვითელ ფერით.  
გულშიმამწვდომ სიმღერებად  
მოღის ნოემბერი!



# რიკონი გვეყრინჩეთ მე და ახლუყყურმა ჩვენი ოჯახი დახვროვს

გოთხრობა

ნახეთ, როგორი სახელები გვექვია მე და ჩემ ძმას – ეფემია და ანდუყფარი. გავეცინათ, არა? ყველას ეცინება – ასე პატარებს ვევთი სახელები როგორა გვევითო. თითქოს ადამიანს პატარაობაში ერთი სახელი ჰქონდეს და დიდობაში – მეორე. ჩვენ ორივეს კი ძალიანაც მოგვწონს დიდი ბუბას და დიდი პაპას პატვი-საცემად დარქმული სახელები.

ასლა ამ სურათსაც დახედეთ. მამას ამხანაგმა დავგვსატა, თეფური ძიამ. ხედავთ, როგორები ვართ მე და ჩემი ძმა? რა გეცათ პირველად თვალი? ჩვენი ლურჯი თვალები, არა? და კიდევ ჩემი ღამაში თმები, პო?

ანდუყფარი კოკროჟინა, წიწლი-კა, თავი გაკოროიდ კაკალს მიუგავს (ასე ამბობს ჩვენი სოფლელი დიდუ-კა), კბილები ახლანან მოიგვალა, საშინელი ცელქია, უკუდართი, გუყუნარი და მეურტი (ესე დიდუდას სიტყვა).

მე სამი წლთ უფროსი ვარ ძმაზე, მეც იმასებით გავნაჭული ვარ, ორივენი ცულად გვქამთ. ასეთი პირთუნწილო პაღლებს მსახველი არა ვარო, – სწუსს დიდუდა, – აბა რასა ჰგავხარო, თვალები კუფაშილა გაქვთ წასულიო.

მე ცელქი არ მეტქმის, ოღონდ ხანდახან გაფხუკიანება ვიცი, ინქერიანი ვარ (ალბათ უკვე სცნობთ დიდუდას სიტყვებს). ზარმაკები არც ერთი არა ვარო, მაგრამ პასუხისმგებლობის გრძნობა კი ორივეს გვაკლია (ასე ამბობს მამა). სკოლაში ყველანაირ ნიშანს ვეღებლობთ. ძალიან გვიყვარს ერთმანეთი, დედამც, მამამც, ბებიებმც, დეიდა-მამიდა-ბიძებმც, პაპა არც ერთი არა გვეყავს, თორემ ისინიც გვეყვარებოდა. კიდევ გვიყვარს მულტფილმები, სათაგვა-დასავლო წიგნები და უფროსების საქმეში ცხვირის ჩაყოფა (ასე მიანინით დედას დე მამას), რისთვისაც ხშირად გვიჯავრდებიან – საძრანისი თვისებააო. აბა, ერთი არა გვეწონოდა მე და ანდუყფარს ეს თვისება და არ ჩავეყუო მაშინ ცხვირი...

რა, სულ თავიდან დავიწყო? კარგი ვიწყებ:

ერთხელ დეიდა მინ მოსვლა დაავიანა. „სად იყავით?“ – ჰკითხს ცოტა გაბრაზებულმა მამამ, სადილი მზად არ დახვდა და იმიტომ იყო მამა ცოტა გაბრაზებული. – „თამილასთან ვავიარე და იქ შევჩნით“, – თამილა დეიდა დედას სკოლის ამხანაგია. – „სადილი გავგეტყუებია და გინდა სამუდამოდ დარჩენილიყავი იმ შენ დაქალიანაო, – ცოტა უფრო გაბრაზებულმა უთხრა მამამ, – სახლში მაინც ვერა ჩერდებით და...“

– რა იყო, ამ ერთხელ ვერ მოვახარე ეს ოხერი სადილი... შენ მართო უსადილობა ვაწუხებს, იმას კი ვერ ამჩნევ, რომ დიდიდან დღამე-ბამდე შეშული ვარ სახედარივით. ფეხის გულეშილა მტკიცია ამდენი შეუფ დგომით, ბაზარი მე ვარ, სარეცხი, უთო და სადილო... სამსალურზე აღარაფერს ვამბობო, ანია ჩემზე, ყველაფერს მაშინარეულს რომ დავაგნეო... აბა, თეონას ქმარი, ვანა მენზე ნალეობია, რომ ბაზარმც თეონათონ დადის, იატაკსაც თვითონ წმე-

ნდს და შარვალ-ხალათსაც თვითონ იუთოვსო.

– მერე რალა მე მომეყუბოდი, გაყოფილი იმ შენ თეონას ქმარსაო, იქნებ შენი კაბებიც იმას ეუთოები. ნაო...

– სულელი ვიყავი და იმიტომ გამოგვევითო...

ის იყო, მე და ანდუყფარი ცხვირის ჩასაყოფად გავეშვადეთ, მაგრამ მამამ არ დავგაცადა – აბა, აქედან მოუესითო, და ჩვენს ოთახში გავერქვა. მაგრამ იქაც მშვენივრად გვესმოდა, როგორა კინკლოზდნენ. ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ მამამ საძილე ოთახის კარი შეიჯახუნა და აღარც გამოსულა.

მეორე დღეს დეიდა ჯიბრზე არც სადილი დადახვდრა მამას და დავიგვიანა კიდევაც. მე და ანდუყფარმაც ვისვლეთ და მთელი დღის უსმელ-უწმელუმა ეზოში დავაღამეთ. რალა თქმა უნდა, ორივემ ჩვენზე იყარა ჯავრი. ჯერ მამამ გვაყარა შვეი დღე. ერთი პირი ტირილი მოთავებული რომ გვექონდა, ასლა დეიდამ მივიტყვია და სელასლა აგვადრიოლა.

აირ-ღირია ყველაფერი! დედა მართო მე და ანდუყფარს გვიმზადებდა საშველს, მართო ჩვენ გვივლიდა. ერთმანეთის ჯიბრზე ორივენი გვიან ბრუნდებოდნენ სამსალურის მერე. მამა წიგნების ოთახში გადამარბდა, მე და ანდუყფარიც იქ შევავადით, ძველბურდ გვეჭობოდა, ათასნაირ საინტერესო რამეებს გვიყუებოდა, საქართველოს ისტორიას გვაკითხებდა სმამაღლა, მერე, როგორც ყოველთვის, მსოფლიოს რუქას ვშლივით და ვმოგაურობოდით... დედა ცოტას კი დავგვავლიდა ხოლმე და მერე გავგიყვანდა, ძილის დროა, ჩქარა, ჩქარაო. რამდენჯერმე ცვადავო მე და ანდუყფარმა გავგვერკვია, როდის უნდა შევირგებულიყვნენ დედა და მამა, მაგრამ მაშინვე გვარსმემდნენ – თქვენი საქმე არ არისო.

ერთხელაც მამა ძალიან მთვრალი მოვიდა. უფერია დედას, შენთან ცხო-

ერება აღარ შემიძლიაო, ოჯახს შენ ვერ უძლებდი, თავისთვის შენ ვერ მოვივლია, სტუმრის დასვენება შენ არ იცი და ბავშვების გაზრდაო. დედა ხმის ამოუღებლად ტირილდა. ჩვენ ვლრიალებოდა.

მეორე დღით მამამ დიდ ლურჯ ჩანთაში ჩაყარა თავისი გასარტყის ხალაოები, მაისურები, ცხვირსახოცები, წინდები და წაყიდა. მეორე ისევ იმ ჩანთით ყველაფერი გააქაბათეთუბულ-გატყინებული მოიტანა. დედა სულ გაღაიონა — აბა, ასლა კი მივხვდი ყველაფერსო, ვიღაცა გაიჩინე, გეტყობა, იმიტომაც ანხირადიო, მიბრძანდი, პატრონო, ვინ გააკავებს, მიან გააროს აწიო... მიუყარ-მოუყარა ყველაფერი... მე და ანდუყაფარს მამინ რატომღაც სულ არ მოგვდომინა ცხვირის ჩაყოფა, კუთხეში მიყუყულები ვტიროდით, მხოლოდ იმას ესვდებოდით, რომ რაღაც საშინელი სდებოდა.

მამა გაცოფდა, მივარდა დედას და გაართვა, გაიბრუნა კარი და წაიღია, აღარ გამოჩენილა. მეორე დღილას, უთონია, ნესტან მამიდა დავგავაღე ოჯახზე, დავკვიციანა მე და ანდუ-

ყაფარი, მეორე დედა სამზარეულოში გაისმო, ნაწყვეტ-ნაწყვეტ გვესმოდა მათი ლაპარაკი: რა სულელი ხარ, როგორ იფიქრე, ყველაფერი მე და-მარეცხინა, შენზე მითხრა, ავად არისო... აბა, დაუფიქრდი, რასა ლაპარაკობო... მოიცა, მე იმას ვაჩვენებო... რატომ ბავშვებზე არა ფიქრობთ, რა დროს თქვენნი გაყრათ, — ეუნებოვოდა მამიდა. — ვერაფრით ვერ ვაპატიებო, ისევედა ბუერი ვუთმინეო... როგორმე თვითონვე გაეზრდა ბავშვებსაო, — ტირილდა დედა.

მივხვდით, რომ რაღაც კიდევ უფრო საშინელი უნდა მომხდარიყო. დედა სულ ტირილდა. მეორე მამა მოვიდა. მეც და ანდუყაფარმაც შევატყვეტე, რომ დედას ძალიან გავუხარდა მისი მოსვლა, მაგრამ როცა მამამ ჩუმი სმით უთხრა, — თუ შეგიძლია, მამატიეო, რატომღაც შეპკივლა, არ შემიძლიაო. — მამ ყველაფერი დამთავრდაო, — ჩაილაპარაკა მამამ, ნაღვლიანად გამოგვეხედა და წაიღია.

დედაც თავი ააგდო და... არა, ქვეა აგდო და თავი თუეშვირა, — ასე აუხსნა დედას საქციელი ნესტან მა-

მდამ თავის და-ძმებს, რომლებმაც ერთ დღეს ჩვენთან მოიყარეს თავი საოჯახო თათბირზე. მე და ანდუყაფარი, რა თქმა უნდა, ჩვენს ოთახში გაგვხიზუნეს. რაღა არ უთხრეს დედას მამინ — კარვად დავიჭირდიო, ვინ რას იტყვისო, ის ჩვენი ძმაც ცოდოა, სომა იგი, ბავშვებისთვის სულელებსო, საიმიზო რა მოხდაო, ბავშვებს რაღას უმწარებთ სიცოცხლე-სო... მაგრამ დედას ისევე ისე ჰქონდა „ქვისთვის თავი შეშვერილი“ — ვერა, ვერავითარი შემოსევებით ვერ ვაბატიებო, არ დამეწანოსო... ერთსელ კიდევ მოვიდა ნესტან მამიდა, მაგრამ რომ ვერაფერი გააწყო, მკვასელ უთხრა დედას, იცოფე, სანანებელი გაიცილება, მაგრამ გვიანდა ეჩვენებო. ის იყო და ის, ნათესაუთვან ჩვენთან აღარავინ მოსულა.

მოგვეჩატრა მე და ანდუყაფარს მამა, ძალიან მოგვეჩატრა, რუმ-ჩუ-ღედა სამსახურში დურეკავდით ტელეფონით და ველაპარაკებოდით. დედა ერთ ბუწო რამზე ისე ბრანდებოდა, ხმის ამოღებას ვერ ეძღვებოდით, გაკვივოლებსაც კი უხმოდ ვაკეოვდით. დანადგლიანდით ქე და ანდუყაფარი, აღარც ეზოსკენ გვიწევდა გული და აღარც მულტფილმების ნახვის ხალისი გვექონდა.

სხვა გზა არ იყო, ისევე მე და ჩემ ძმას უნდა ჩავვეყო საქმეში ცხვირი, ჩვენ უნდა გადაგვეჩინა ოჯახი, მოდა, გადაეწყვიტეთ... დღითი, დედამ თავის ჰკუთნი სკოლაში რომ გაგვისტუმრა და თვითონ თავის ინსტიტუტში წავიდა, მე და ანდუყაფარი მოვბრუნდით, ტანზე გამოვიცვალეთ, ჩვენი საერთო ყულაბა დაეცალეთ და ჩუმად, მალედა, მეზობლებს რომ არ დაეცნათ, — როგორც „შპიონები“, მენერჩულებოდა ანდუყაფარი, — მერტრომდე მივიპარეთ და თხუთმეტ წუთში ავტოსადგურში ვიყავით. სულ მალე კი ავტობუსის ფანჯარაზე ცხვირმიჭვლეტელები დიდდასაკენ მივექროდით, სოფელში. კი გამოგვებნენ გზაში, უძეტესად ქალები, ასე მარტოები სად მიდინართ, როგორ გამოვიგვესო, მაგრამ ჩვენ წინასწარ მომზადებული ტყუილით ვამშვივებდით, სხვა დროსაც ბევრჯერ გვიმზავრია ასე, ავტობუსამდე მშობლე-





შმა გამოგვაციოლეს, იქ კიდევ დიდუღა დაგვსვდება და მგზავრობაში კი რა უნდა მოგვივიდესო.

— უი, დამიდგეს თვალუბი, ნამდვილად რაღაც უბედურებაა ჩემს თვალს, თორემ მარტოებს როგორ განსოიშვებდნენო, — შეიხანდა მარანინი მოფუსფუსე დიდუღაო, „ქრისტე ღმერთივით რომ გამოვეცნადეთ“. მაგრამ როცა ვაივო, რამიც იყო საქმე და რა გადაეწყვიტეთ მე და ანდუყაღარმა, ჯერ შეწყნარე, მერე კი გაიღიმა და თანახმა ვარ თქვენი შეთქმულების მონაწილე გავსდეთო, გეთისრა. მერე სასწრაფოდ საჭმელად დაგვესა, ისე ვიდურღლებოდით, დიდუღაც კი ემაყოფილი ღარინა, ძლივს ყბის მოქნევა გისწავლიათო. ზამას რომ მოვრჩით, დანერხილუბით მოვითათბირეთ, როგორ უნდა მოვექცეულიყავით. დამე ლოგინში ანდუყაღარმა ერთი კი მიჩურჩულა — დედუყო მეტრდება, ალბათ როგორ გვეძებენ და ტირილი; მცხა-მეთქი,

ვუთხარი, მაგრამ არა უშავს, ყველაფერი თუ კარგად დამთავრდა, გვაპატიებსო, — გადაეწყვიტეთ.

მეორე დღით დიდუღამ კოსტად თავმოკრული კალათი და მომცრო ჩანთა აიღო, თვალუბი დაგვიკოცნა, აბა, თქვენ იყითო, მერე დამატა — თუ ვინიცობაა, ნიკუჭანთ ენაპურტალა რძალმა გკითხვით რამე, არაფერი წამოგდეთო, გზაზე გავიდა. ჩვენ დაჯერდნენ ვუყურებდით, როგორ ყოჩაღად ავიდა ავტობუსში, იმის ღიმილს ღიმილითვე ვუბახუსეთ და ავტობუსიც დაიძრა, წაიყვანა ჩვენი დიდუღა საქმის მოსაგვარებლად...

მერე სულ სიცილით გვიყვებოდა — ჩავედი და ვითომც არაფერი, ორივენი გადავკოცნე, დედათქვენს თვალუბი პქონდა დასიებული, მაგრამ ვითომ ვერც შევამჩნიე, არაფერი მიკითხავს, მამათქვენი უახროდ დაბოროალიზებდა ბინაში, დანა

პირს არ უხსნიდო... ბაღლები სადღა არიან-მეთქი, მოგვიკითხეთ... სან იქნებინ, სკოლაში არიანო, აღარ შემისხვებია, როდის აქეთია კვირა დღისითაც სწავლა პქონდათ-მეთქი. ენასოთ ერთი, მერე რაღაც მოიგონებენ, — ვფიქრობ ჩემთვის. ატყვარტელეფონის რეკვა, ხან ერთი მიკარდება; ხან მეორე. „არა, არა, არაფერიო...“ — ბახსობენ. მე არაფერს ვიმჩნევ, კალათსა და ჩანთას ვცლი. იწრიალა მამათქვენმა, იწრიალა და წავიდა სადღაც, დედათქვენი კარვბამდე მიყვავ, ჩურჩულით რაღაცს ემუდარებოდა. კარგი, კარგი, წინასწარ გულს ნუ ისეთქავ, თავს გაუფრთხილდი, გამონდებინ, მამ რა იქნებაო.

— ერთი, შენს გაზრდას, რძიანი ჩაი დამალევირე-მეთქი, — დედათქვენი ვუბნებდი. ვზივარ, ვსვამ დავგვოვებით, ჩემივე მოსარშულ დოდნოშის მურაბის ვატან... მიყურებს დედათქვენი, მიყურებს, რო ლამის თვალუბი გამანადგუროს და თან ფიქრობს — ვაი, შე უბედურო, ჯერ სომ არ იცი, რა ამბავია ჩვენ თავსაო... მე, თქვენც არ მომიკვდეთ, აინრეშიც არაფერს ვეგდებ. რაღაც იგვიანებენ-მეთქი, თქვენზე ვუთხარი. პო, ექვს-ექვსი გაკვითილი აქვთ დედასაო. ამოვიღე ჩემი სელსაქმე და ვქსოვ, ხმას არ ვიღებ. ტელეფონის სიმა გასძვარა რეკვით, ხან დედათქვენი რეკავს, ხან ამას უტყვავენ. დღამდა და მამათქვენიც მოვიდა, მიკარდა დედათქვენი, — სომ არაფერიო. არაო, — თავი ვადაქვინა იმან. მეტოდებინ, მეტოდებინ, რომ გული მიკვდება, მაგრამ ვითმენ. რომ გაშვარაშეუვა და ესედავ, რომ ესენი დასოცილუბი არიან, ვუბნებ: აბა, დასხვდით და წერილად მომიყვით, რა ამბავია თქვენ თავსა-მეთქი. წასკდა დედათქვენს ტირილი, მუსილუბში ჩამეშინო და ვეფემა და ანდუყაღარი დავეკვარებენო... სულ კი ჩვენი ბრალიაო, ჩვენი თავქრბარობისიაო... ესე და ესე ვიმჩნუეთ დ



დათობა არც ერთმა არ მოიწინდლო-  
მეთ, გაურა გადაწყვიტეთო... შევი-  
ცხადე, ეს რა დაგმართინათ-მეთოქი,  
მერე ერთი კარგადაც შევეჯორე, ვთა-  
თხავ და თან შეღიმება. სმა არც-  
ერთს არ გაუღია. იმ ღამეს მაინც  
არაფერი წამომცდენია, დღლით კი,  
რომ გამოვიდოდი, კარგებში ვუთხა-  
რი, ჩემთან არიან-მეთოქი და გამო-  
ვსწიე... ერთი სიტყვით, სადაც არის  
თავს დაგვიკარგენ, ისე რომ, სადაღ-  
ლის თადარიგს რომ ვიჭვრდეთ, ის  
დროა...

ვევით შე და ანდუყაფარი დიდე-  
დას, დაკოცნეთ, მერე ერთმანეთიც  
ვადაკოცნეთ. დაუბრიალდით და ის-  
ეთი სუფრა დავახვედრეთ დედას და  
მამას, ისეთი, რომ...

ნახეთ, როგორები ვართ ამ სუ-  
რათზე ოთხივენი? ისევ თემური ძაბი  
დაგვხატა. უკვე თითქმის დამთავრე-  
ბული პქონდა, შე და ანდუყაფარი  
რომ აუტყვდიო, გინდა თუ არა, დიდე-  
დაც დახატე სადმეო, ადგა და ჩვენს  
ზევით მიასატა დიდედა, იმიტომ  
არის ასე უცნაურად.

რა გვეთა პირველად თვალში?  
ჩვენი პედნიერი სასუები, არა?

ვიწყებთ ახალ რაზრიას „მასწავლე-  
ბელი, ჩვენი პირველი მსწავლეები“,  
როგორღე აღვიდას, სხვა ბანოცილი-  
ბაზის მსამასაც, სიმდომღე დაგვიდრ-  
დამა ჩვენი ურანლის ურანოვია. ამ  
რაზრიით ბაგოგამაგნაულ მასწავლე-  
ბაბანოვით თმამასავა სავარაუდო მას-  
წავლეობას — სათელი შვირის აღ-  
მინანას, რომელთაც ცსოვანის უთმა-  
ბრის მიხნაღ ამჟამით ჩვენი გოგაპალი  
თოტამის სიამარული და სხმასხალი.  
თმამას აქ უმავლამით ჩვენი რამაშა-  
ლივის კალაპაზისა და სოფლავის ჟო-  
ბაღსაბანანათლავალი და საშუალი  
პროფანინაური სსწავლეობის კედა-  
გომავასა და სარაგოთი სწავლების ოს-  
აბასა, სემოლი-ნებანანაბის აღმწა-  
დლმას, ბავშვთა უმომავლამით და  
სოტრავალი სარდინიას თუ სარდლის  
მასწავლეობას, ავალას, ვისთისას  
პროფანინა სავარაუდო გოგოგამის, ს-  
აშთელი პროფანინის პრითხული სხმას-  
ხარი.

# აქვე ჩვენი სუფრა სასწავლებელი...

## ინოს სარაზიშვილი

ორიოღე კილომეტრიც და უკან  
დარჩა ხეთა — ხობის რაიონის  
კიდეე ერთი მშვენიერი სოფელი.  
ადრე ეს ტერიტორიაც ხეთისა  
იყო თურმე. ჩვენ 95 წლის წინან-  
დელს ვგულობსმობთ, თორემ ასე  
ყოფილა უფრო გვიანობამდეც. 95  
წლის წინათ კი, 1891 წელს, სწო-  
რედ აქ, ამ ადგილას მდგარა პა-  
ტარა სოფლური სახლი, რომლის  
ორ ოთახშიც მთელს ამ მხარეში  
ერთ-ერთი პირველი სკოლა —  
უფასო სასწავლებელი გაუმართავ  
სახლის პატარიანს — ცნობილ ქართ-  
ველ პედაგოგს ესტატე შუშანიას.  
ამ ადგილას დღესაც სკოლა  
დგას — სოფელ პირველი მისის  
ესტატე შუშანიას სახელობის პირ-  
ველი საშუალო სკოლა, მთელ რაი-  
ონშიც გამორჩეული თავისი მუშაო-  
ბით და ძლიერი პედაგოგიური კო-

ლექტივით — ბავშვებთან შრომა-  
ში თმავათორებელი მასწავლე-  
ლებით „სახლეთათ“ ფონია, სწო-  
რედაც რომ „სახლეთათ“ იმისთ-  
ვის, რომ მასზე შედარებით ახალ-  
გაზრდა, თუნდაც ზემდომეწინეთ  
ტერესო მასწავლებლის შემოქმე-  
დებითი პორტრეტი დიხატოს.  
ღიას, სწორედ შემოქმედებითი,  
რაცავე თუ რაიონში ზურაბს ბუ-  
კიას იცნობენ, უპირველესად, ამ  
თავისებურებით.

ჩვენთვის, მასწავლებლებისთვის  
ბავშვის სულიერი სამყარომდე ამ-  
აღლებათ აუცილებელი და არა  
დამშვებო, — ამბობდა ცნობილი  
პოლონელი პედაგოგი იანუშ კორ-  
ჩაკი. ჩვენთან სუბარში ზურაბს  
ეს სიტყვები არ მოუხშია. იგი  
მხოლოდ თავის საქმეს ყოველ-  
დღიურობაზე გვესაუბრებოდა; მო-  
ვევითობობდა იმაზე, თუ როგორ  
მუშაობს მთელ კლასთან და თი-  
თოვეულ მოსწავლესთან, როგორ  
მეგობრობს მათთან, როგორ თან-  
ხავს საიდუმლოს, როგორ თანა-  
უგრძნობს... მოვევითობობდნენ მი-  
სი უფროსი კოლეგებიც. დასკვნა  
უცებ გავეთლა და ასევე უცებ  
მოერგო გამოჩენილი პოლონელი  
პედაგოგის ზემოთ მოყვანილ შე-  
სანიშნავ სიტყვებს. ამ ახალგაზრ-  
დის ლაბარაკში კი ჩვენ ვიგრძენ-  
ით კიდეე ერთი კემშარბი აღმ-  
ზრდელი, მასწავლებელი, რომელიც  
თავისი ყოველი გავევითით თუ  
უზრალი ადამიანური დამოკიდებუ-  
ლებით საინტერესოდ აკვლიანენს  
თავის მოსწავლეთა სულსა და ხა-  
სიათს, ბუნებასა და მისწრაფებებს.  
განსაზღვრავს მათს შემდგომ პი-  
როვნულ თუ მოქალაქეობრივ სა-  
ხეს, ინდივიდუალობას.

შარშანიწინ დაამთავრა საშუალო  
სკოლა ზურაბ მასწავლებლის პირ-  
ველმა სადამრიგებლო კლასმა,  
დაიფანტნენ გოგო-ბიჭები, ზოგმა  
ქალაქს მიაშურა სასწავლებლად,




ზოგი სავალდებულო სამხედრო სამსახურში წვიდა, ზოგიც სოფელში მუშაობს. დატმულებივით ერთ დღეს იციან სოფელში თავმოყრა, შეიკრიბებიან, ზურაბ მას-

უნდა იცოდეს, რომ ძლიერ შთაბეჭდილებად დაუტოვოს ყოველი გაკეთილი მოსწავლესო... რა დიდებულად უთქვამს ილიას — „მოთხოვნა ტილოა, ზედ ადამიანებს

გატოტილი უბრალო ვაშლის ხის სიყვარულიდან მშობლიური ხის, მშობლიური ქვეყნის დიდ და გრძნულ სიყვარულამდე იზრდება...

აი, როგორია ის — გულახდილობა და რამდენს ნიშნავს იგი მასწავლებელ-მოსწავლის: ამგვარ ყოველდღიურ, ზეიმურბამდე ამაღლებულ ურთიერთობაში.

ზურაბ ბუკია, როგორც მაძიებელ მასწავლებელს, სხვა ღირსებაც აქვს — იგი ვერასოდეს „ეტევა“ სასკოლო პროგრამის ჩარჩოებში, ყველანაირად ცდილობს, მთელ თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზე შეუქმნას დამოუკიდებელი აზრი თავის მოსწავლეებს. კლასგარეშე სავალდებულო საკითხავს მუდამ მკაცრად მოჰკითხავს ხოლმე, ცდილობს თითოეუ-



●  
აღმნიარ ვარ, რომ ჩემს ყველა ალგორითმითი ამოიბარი მგაუბარბ, — ჰვეუანება ჯარაბი.  
●

წავლებელს ამოაკითხავენ. მოედებიან ხოლმე სოფლის შუკა-შარასა და ველ-მინდვრებს თხუთმეტოიენნი... მოწაფეობის დროს რომ იცოდნენ, შეშვიდე-შერვე კლასში, ისე ჩამოსხდებიან ახლო-ახლოს და ყვებიან თავიანთი ყოველდღიურობისა და სულიერი განცდების ამბებს. ბედნიერები არიან... გვერდით ყველანი უკლებლივ შეგობრებად და ჭეთილ მრჩეველებად ეგულებათ და იმიტომ.



ღიახ, ასეა. ასე ზრდის თავიდაც საკმაოდ ახალგაზრდა კაცი, 35 წლის პედაგოგი ზურაბ ბუკია თავის მოსწავლეთა სულებს. ბავშვის სული კი მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლისთვის იგივეა, რაც მექოთნისთვის — თხიხა: „ფერ-ზორციც“ და „ხმაც“ თვითონ უნდა მისცეს, სულიც თვითონ უნდა ჩაუდგას, ბუნების მიყურადებასა და მისი სიმდიდრის გიდაღებასაც თავად უნდა შეაჩვიოს. და ასწავლის კიდევ. ზურაბ ბუკია ჩვენი დიდი ეროვნული ლიტერატურის გმირების ძლიერი სულებიდან და ხასიათებიდან ამოკრავილი ხატოვანი სურათებით ჰკვებავს მოსწავლეთა იდეალებს. მასწავლებელმა დიდი მწერლის მარტო სახლის ხსენებაც კი ისე

ხატავენა“. ასეთ ტილოებზე დახატული ადამიანებითაა დასახლებული ყოველი ერის ლიტერატურის დიდი და საოცარი ქვეყანა. მასთან ერთი მიახლოებაც კი სასწაულს ნიშნავს... და ლიტერატურის მასწავლებლის უმთავრესი მოვალეობაც ხომ ესაა — აღსაზრდელად მობარებულ თითოეულ სულს აპოვინოს ეს სასწაული... სასწაული, რომელიც მამა-პაპეული სახლის წინ

ლი აქედანვე შეაჩვიოს სწორ კრიტიკულ აზროვნებას, ნაწარმოების ავკარგის, შავისა და თეთრის იოლად გარჩევას. ცნობილი მწერლების ახალგაზოცებულ წიგნებსაც ხშირად მიაწვდის ხოლმე. ეს გურამ დოჩანაშვილია და წაიკითხეთო, ეს კიდევ ოთარ ჭიჭიძის ახალი რომანია... ვანა იმას ირემებს, თითქოს ამ თავისებური მწერლების ნაწარმოებთა ქვეტექს-



ლენინური პარტიის  
პარისკამი

# სენტი მონტონიკოსა და იკუსი ტავუუპი

(ს. ო რ გ ჯ ნ ი ძ ი ძ ს  
დახადების 100 წლისათვის)

იაკუტიაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის შრომის ისტორიის მატინეს შემოუნახავს მშრომელი ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის მებრძოლი მრავალი ქართველი რევოლუციონერის, მათ შორის სერგო ორჯონიკიძის სახელი.

ს. ორჯონიკიძის პირადი თვისებები და რევოლუციური შემართება იკავებს გამოყვანილად შორეული იაკუტიის გადასახლებაში.

ეს იყო 1916 წელს. სერგო ამ „ყინულების შემოუღობავ ციხეში“ გამაწყვსეს. პატიმრები მდინარე ლენაზე ბარკით მიჰყავდათ, რომელიც ტივეტ იყო მიმავრებული. დიდი ხნის მტანჯველი და შურადცმყოფელი მოგზაურობის შემდეგ ს. ორჯონიკიძე და სხვა პოლიტიკურად-სახლებულები ქ. იაკუტსკში ჩაიყვანეს.

რადგან ორჯონიკიძე თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საშიშ დანაშავედ იყო მიჩნეული, გუბერნატორმა გადაწყვიტა, იგი უფრო შორს, ტუნდრაში, იაკუტსკიდან 700 კილომეტრის დაშორებით, ვილიუსის ოკრუგის სოფ. ნიურბში გაეგზავნა. ეს გადასახლებაიდან გადასახლებას ნიშნავდა. იაკუტსკელი რევოლუციონერებს კარგად ესმოდათ, რომ თუ მეფის ხელისუფლება სერგოს მიმართ ამ მაცერ ღონისძიებას გაატრებდა, იგი მოვლდ მონყდებოდა ამხანაგებსა და მეგობრებს და დიდი ხნით

დან დაგისხტა, ცოდნაც ორივე ფეხით იკოტლებს...  
თუ დასჭირდა, უფროს კოლეგათა შორისაც ბევრი ჰყავს დამხმარე. თავიდან ამ სკოლაში აღზრდილი, თავს ჯერაც ყოფილ მასწავლებელთა მოწაფედ გრძნობს. ასე რომ, ჯერჯერობით არც მათთვის მიეცემოდა თავისი „მოწაფეთა“ შეკითხვებისა ერიდება... ერთი ძალიან ძლიერი „თანაშემოყვ“ ჰყავს — მშობლიური სოფლის ბუნება, ის უმთავრესი, რის წყალობითაც თავიანთი ქალაქელი თანატოლებისაგან საოცრად განსხვავდებიან სოფელი მოზარდები და ზურაბ მასწავლებელსაც უხარია, რომ მისი მოსწავლეები ასეთი ყოჩაღები და დამოუკიდებლები, ასეთი ხალხები, შრომისმოყვარენი და სამართლიანები არიან, ისეთივე ბუნებრივები, როგორც მათი ეს მიკროსამყარო — მათი გარემომცველი ბუნება.

რაიონის განათლების განყოფილების გამგემ, პატიცემულმა შალვა ხარბევამ გამოჩინებდა ასენმა ზურაბის საიმედოობა. სულ უზურალო მაგალითი მოიყვანა წლევენდელი შრომითი სემესტრიდან: ამ ხუბულს რაიონის სკოლების 600 მოსწავლისაგან დაკომპლექტებული შრომა-დასვენების ბანაკის უფროსი იყო თურმე ზურაბ ბუკია. იცოთხადენდ მშობლები მასწავლებლის ცინაობას და ზურაბის სახელს რომ გაიგონებდნენ, უყოყმანოდ თანხმდებოდნენ „შრომით სემესტრში შეიღების ვაშეებაზე... აი, როგორ პატარა ჯეტალებშიც შეიძლება გამკლავდნენ თურმე აღმანიის ავტორიტეტი... თორემ ზურაბი რომ მთელ სკოლაში ცნობილი საზოგადოებრივი ჰქტივისტია, ამის შეხსენება აქ არავის სჭირდება. მაგრამ... შეეხება სიტყვა ამ ახალგაზრდა მასწავლებელს და ერთბაშად სკოლის რამდენიმე შედგავს გაუშუქდება სიკეთით თვალები. ასეთ წუთებში კი მათი უთქმელობა უფრო მეტს ამბობს — თითოეულს თავისებურად, თავის წილად ემაყვება აღზრდილი...

და იამოაზიონის ფობო

ტების გაგება არ უშირდებო მის მოსწავლესა, მაგრამ... ეს მწერლები მეტ წაყთხებადაც ღირანო, — დაეინება ზურაბ მასწავლებელს, — ერთხელ კარგად ვერგავებულს მეორედ მიუბრუნდებიან და ლიტერატურის მთელ მაღლას და მარბლსაც უყუთესად შეერკმინებენო. ასე ზოუნავს თავის მოსწავლეთა ლიტერატურული გემოვნების გაფაქიზებაზე, მათში კარგი მკითხველი, ცინიერი მოსაუბრის აღზრდაზე, და, რაც მთავარია, იმაზე, რომ თითოეულმა მათგანმა ბეჭდობიანევე დაადწროს თავი არასწორ მტკეველებსა, შეისწავლოს კარგი, ლიტერატურული ქართული. ისეთ ქუთხეში, როგორც სამეგრელოა, ეს საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ამას ანდომებს იგი არა მარტო ლიტერატურის, არამედ ქართული ენის გრამატიკის გაკვეთილებსაც, სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის წრის (ამ წრესაც ზურაბ ბუკია ხელმძღვანელობს) მეკადნიეობებს... ენის გრამატიკა, მოგახსენებთ, მთემატიკასავითაა, უმთავრესი თუ ხელი-

## მასწავლებლებს უთქვამთ

● თუ იცნოა სახალისი პაპათაიის, ნაიოსაოთის ბაიფრთოთის, ჰალის ბაიეთილოზილიაის, ჰალის ჰაფაფა-ჰისა და ჰონაიის ბაფონაფონაიის სახუალაბას, მსა იპი, ზენ აღაფრ-დილი ხაბ.

### 3. ლ ა მ რ ე ნ დ

● ბორლოდ ის ბასლმა ნაბადილი აღაფრადი, ჰისას არასადრის ბაიფ-უღბაბა, რომ თითონაც აზოილა ბაბ. ზპი.

### 3. ს ხ თ ი მ დ ი ს ა დ

● მკვადრია თუმაღბაბარ ცოტადა, რომელიც მოსწავლეთში არ ბიოთა. რაბს ინიციტიპასს და თითოთოფაბ. დეაბას; მოსწავლე უღდა ზაბაბიოი არს ბაბრო ჰრომინაბას, არაბოდ მო-ნაღმინაბას.

### 5. ა მ შ ი ვ ი

● დიდი ბასწავლემადი, ჰინს მათის ნანსავალს ხაბინთაც აღაბარ-ულას.

ქ ა ბ ო მ ი უ ფ რ ო ს ი

ჩამომორღებოდა აქტიურ რევოლუციურ საქმიანობას.

დაყოფნა აღარ შეიძლებოდა. პოლიტგადსახსლებელზემა შუამდგომლობით მიმართეს ქალაქის საავადმყოფოს გამგეს, რომელმაც ასევე შუამდგომლობით მიმართა იაკუტსკის ვიცე-გუბერნატორს:

„იაკუტსკის საოლქო საავადმყოფოში ექიმებისა და ფერმლების ნაკლებობის გამო ვთხოვ თქვენს აღმატებულებას, დანიშნოთ ჩემდამი რწმუნებულ საავადმყოფოში სამუდამოდ გადასახლებულთა წყებასთან ერთად ახლანა მოსული მედიცინის ფერმლი ორჯონიკიძე, რომელიც ამ დღეებში უნდა გაიგზავნოს ვილიუსის ოკრუგში“.

პოლშევიკების მეცადინეობამ მიზანს მიაღწია, იაკუტსკის გუბერნატორი დათანხმდა, შეეცვალა გადაწყვეტილება სერგოს ნიურბში გაგზავნის შესახებ და იგი დროებით ქ. იაკუტსკში დეტოვა.


ქ. იაკუტსკში იმ დროს 400-ზე მეტი პოლიტგადსახლებული იმყოფებოდა. აქ იყვნენ ცნობილი რევოლუციონერები: ე. იაროსლავსკი, შ. პეტროვსკი, თ. კირსანოვა და სხვები.

სერგომ თავისი უბრალოებითა და მგზნებარე რევოლუციური შემართებით იაკუტსკში ჩასვლისთანავე მიიპყრო პოლიტგადსახლებულთა და ადგილობრივი მოსახლეობის ყურადღება.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთათვის მალე ცნობილი გახდა ს. ორჯონიკიძის აქტიური რევოლუციური საქმიანობა, მოსალოდნელი იყო მის მიმართ მკაცრი ზომების გატარება, ამიტომ მეგობრების რჩევით 1916 წლის 1 აგვისტოს ს. ორჯონიკიძემ თხოვნით მიმართა იაკუტსკის საექიმო ინსპექტორს, სოფელ პოკროვსკის საავადმყოფოში გადაეყვანათ ფერმლად. ამით სერგო თავიდან აიცილებდა ახალ მკაცრ სასჯელს და თან ქალა-

ქიდან დაშორებულ სოფლის ღარიბ მოსახლეობაში საავიგაციო-პროპაგანდისტული მუშაობის გაშლასაც შესძლებდა.

სერგოს თოვანა დააკმაყოფილეს. სოფელ პოკროვსკში იმხანად არც ერთი სხვა პოლიტგადსახლებული არ აღმოჩნდა. ორჯონიკიძეს მეთვალყურეობას უწყევდა პოლიციის



ს ე რ გ ო მ ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე

ზედამხედველი პროტასოვი.

პოკროვსკის საავადმყოფო, როგორც სამედიცინო მომსახურების ცენტრი, უზარმაზარ ტერიტორიას ემსახურებოდა. სოფელ პოკროვსკში 10 თუ 11 ღარიბი რუსი და იაკუტი ოჯახი ცხოვრობდა, რომლებთანაც სხვადასხვა დროს შეინიშნული იყვნენ პოლიტგადსახლებულები. აქაურ დაწყებით საეკლესიო-სამრევლო სკოლაში მასწავლებლად მუშაობდა შინაიდა პავლუცკაია, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის დიდი პატივისცემით სარგებლობდა. საქმის მოყვარულ, გულისხმიერ ახალგაზრდა მასწავლებელს მსოლიოდ მეფის მოხელეებმა ვერ უუარებდნენ კარგი თვალთ.

ერთ დღეს სერგო სკოლაში მივიდა პავშეების ასაცრეულად. სწორედ მაშინ გაიცნო მასწავლებელი შინა-

იდა პავლუცკაია, რომელიც შემდეგ მისი მეუღლე და თანამებრძოლი გახდა.

სერგოს თავმდაბლობა და კაცობა მალე ცნობილი გახდა ღარიბი იაკუტი და რუსი მოსახლეობისათვის. სოფლელები სწირად მიდიოდნენ მასთან, მთელ საღამოს სჯაბასში ატარებდნენ. სერგო ყოველთვის დიდი ინტერესით ეცნობოდა მშრომელი იაკუტების ყოფა-ცხოვრებას, ნადირობისა და მეურნეობის განვითარების მამა-პაპურ წეს-ჩვეულებას.

განსაკუთრებულ სიყვარულსა და მზრუნველობას სერგო პავშეებისადმი იჩენდა. იმ დროს პოკროვსკში ცხოვრობდა ახალგაზრდა ქალი, ოთხი შვილის დედა — კატია პავლუცკაია. ერთ-ერთ მას ავად გაუხდა 10 წლის პიჭუნა. მოიწვია ფერმლი. სერგო ოთახში შევიდა, ავადმყოფი ყმაწვილი გულმოდგინედ გასინჯა და წამალი გამოუწერა. ამ დროს სერგოს ყურადღება მიიპყრეს ვორონეჟში, რომლებიც მაგიდის ქვეშ შემდგარიყვნენ და შიშით იხედებოდნენ „ბოშისაკენ“.

სერგო სმამალაი სიცილითა და საოლქოსო სიტყვებით მიუახლოვდა გაკონუნეს და საითთაოდ გამოიყვანა ისინი მაგიდის ქვეშიდან. პავშეები ჯერ შეკრთნენ, მაგრამ ფერმლის კეთილმა დომილმა დაამშვიდა პატარები, ისინი მალე დაუმეგობრდნენ კეთილ ფერმალს, მუსლებზე შემოუსკუბდნენ და საუბარიც გაუბეს. სერგო მათ ასწავლიდა ქართული ენის ვასატეს სიტყვებს: „ყვეაო, ყვაგო, ყვანაალაო, დელაშენი დამხრგალო“, რადენჯერმე იმეორებდა პავშეებსაც ამეორებინებდა, და იყო საერთო სიცილე-კისკისი.

— როცა მე, — იგონებს ე. პავლუცკაია, — დღისით, მზისით გარეშ ეწოში მომეძებოდა მხიარული სიცილი და ჩორქოლი, მივხვდებოდა რომ ფერმალი მიდიოდა სოფელში ავადმყოფთა სანახავად. ჩვენს სახლს

რომ ჩაუვლიდა, გული არ მოუთმინდა, უთუოდ მოინახულა ბავშვებს, ცოტა ხნით მაინც წითამაშებდა მათა და მერე გასწევდა სამუშაოდ. ბავშვებსაც ძალიან უყვარდათ სერგო, ამიტომ განწირებისას დიდხანს მისძახოდნენ სოღმე „დიადია გრგზიას“ („ძია საქართველის“), ასე ეძახოდნენ მას სიყვარულით ბავშვები.

სერგო პირადი მავალითით ასწავლიდა პატარებს კაცთმოყვარეობის, უსამართლობისა და მშავგრელების წინააღმდეგ ბრძოლას, მშრომელი აღამიანების ქომავლობას, დადგომილთა და ავადმყოფთა მოვლა-პატრონობას, მშობლების პატივისცემასა და დღესაგებას, მშრომისმოყვარეობას, ბეჯით სწავლას, წიგნის სიყვარულს. სერგოს სიტყვას, მის საუკეთესო პირად თვისებებს უდიდესი ზემოქმედებითი ძალა ჰქონდა. პატარები მას ბაძავდნენ. ამიტომ იყო, რომ შემდეგში ბევრი მათგანი ბოღმევიების მხარდამხარ იბრძოდა და დიდმშინენილოვან პარტიულ დავალებებს ასრულებდა.

საინტერესოა 11 წლის იაკუტო ბიჭუნის, ტინონ ფომინის ურთიერთობა ს. ორჯონიკიძესთან.

ტინონის მამა, იგნატო, მიძიმედ დაავადდა. ექიმების წინასწარი გარაუდით მას უკუის კიბო ჰქონდა, დიაგნოზის დასადგენად და პოკრნალოდ იგი იაკუტსკის საავადმყოფოში მიავლინეს.

ფომინების ოჯახს იაკუტსკეში გაემგზავრა. ავადმყოფი ცალკე პალატაში მოაჯასეს, ტინონის დედას ნება დართეს, თავს დასადგომოდა მას, აქ შეზღვედა და გაეცნო ტინონს. ორჯონიკიძეს, სერგო იმ დროს უკვე ჰქონდა საავადმყოფოში მუშაობდა ვერძლად, და იქვე საავადმყოფოს ეზოში, ერთ პატარა სის სასლში ცხოვრობდა, იაკუტ ფერშალ პოპოვთან ერთად. საავადმყოფოს გამგემ, ექიმმა ოუდინმა სერგო ავადმყოფი იგნატის ორდინატორად დანიშნა, როცა ავადმყოფი ცუდად შეიქნა, დედამ ფერშალს ეკუდავდა ტინონი გააგზავნა. ბიჭუნამ მორიდებით დაუკაქუნა სერგოს, შეატყობინა ავ-

ადმყოფი მამის მდგომარეობა და საშველად მოუხსნო. სერგო უშალ გაემურა ავადმყოფის სანახავად.

სერგოს მოეწონა იაკუტე ბიჭუნა, მისი გამპრიახობა და საზრიახობა, და კარგად რომ გაიგნობ, გადაწყვიტა პარტიული დავალება მიეცა მისთვის. ამის შესახებ თვით ტინონ ფომინი წერს:

„ერთხელ სერგომ მეითხა, — იგი თუ არა, სად არის იაკუტსკის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი? — ვიცო, — ვუბაძეს მე. სერგომ ჯიბიდან ამოიღო კონვერტი, მომაწოდა და მიხსრა, — მუზეუმის ეზოში განტალკევიებით დეგას სის ერთი პატარა, ძეღური სახლი. მიდი, კარზე დააკუნებ და მალაღ გახმდარ, დიდ წვერთან კაცს, რომელიც გამოგხვდება ეს წერილი გადაეციო“.

რა იცოდა ყმაწვილმა, რა დიდ, სახასუსისმებელო დავალებებს ასრულებდა, როცა საიდუმლო წერილებს ვადასცემდა მგზნებარ რვეოლუციონერს ემელიან იაროსლავსკის. ამის შესახებ ყმაწვილმა მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ გაიგო.

პოკროვსკეში ს. ორჯონიკიძის ჩასვლადაც სოფლის საავადმყოფოს საუკეთესო ექიმი არ ჰყავდა. სერგომ თავიდანვე ენერგიულად მოკაგმინედი საქმეს. დღედაღამ დაუზარებლად ემსახურებოდა იაკუტ მოსახლეობას. სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად იგი გამოძახებისთანავე უყოყმანოდ მიდიოდა ასულე კილომეტრზე. ევენიან-წყვილსენიანი ეტლით, 60 გრადუსიან ყინვაში მიემგზავრებოდა იაკუტების შორეულ ულუსებში. სერგო ექიმმა ისი შეყვარა ხალხს თავი, რომ მისი გამოჩენა ნამდვილი ზეიმი იყო.

სერგო ავადმყოფებს გულმოდგინედ გამოაკითხავდა სოღმე ცხოვრების პირობებს, განუმარტავდა მათი წოდირების მთავარ მიზეზებს, მოუწოდებდა მშავგრელებების წინააღმდეგ საბრძოლველად, აძლევდა პროფილაქტიკურ რჩევა-დარიგებას. თავის პროფესიას მარჯვედ იყენებდა მასებში აქტიური რვეოლუციური პროპაგანდის გაწვევისათვის. რაც დრო გადიოდა, იგი თანდათან დიდ

ავტორიტეტსა და სიყვარულს იმკიდა იაკუტ ხალხში. მასზე ამბოდნენ: იშვიათი ფერშალია, კარგი კაციაო. სერგო იაკუტთა იურტების სასულელო სტუმარი იყო. ენის არც იონად არ უშლიდა მას ხელს, მეგობრული ურთიერთობა დამყარებინა იაკუტებთან. თუ ეინმე ჰკითხავდა, როგორ ახერხებ იაკუტებთან ურთიერთობასო, იგი უპასუხებდა: „ცოტარუსულად, ცოტა ქართულად, ცოტა იაკუტურად და გასაგები გამოდისო...“

ენის მოთვლის, რამდენი ასეთი კეთილი საქმე გაუკეთებია სერგოს, მაგრამ როგორც იაკუტები ამბობენ, მთავარი მაინც ის იყო, რომ ხალხს იგი უნაგროდ ემსახურებოდა. პოკროვსკის საავადმყოფოს ყოფილი დარჯი ყვებოდა თურმე: ნემი მუშაობის მანძილზე მრავალ ფერშალთან და ექიმთან მომიწია შრომამ, მაგრამ ისეთი, როგორიც ს. ორჯონიკიძე იყო, არავინ ყოფილა. მედიცინის თითქმის ყველა მუშაკი ავადმყოფი იაკუტებისაგან იღებდა ეგრეთ წოდებულ „საჩუქარს“, მაგრამ სერგო ასეთ „საჩუქარზე“ ყოველთვის უარს ამბობდა.

ენობა თებერვლის რვეოლუციის გამარჯვების შესახებ სერგომ სოფელ სინსკეში მიიღო, სადაც იგი ერთი კვირით იყო მივლინებული ავადმყოფი იაკუტის სამკურნალოდ. ის მზად იყო, გულიმ ჩაეგრა სამყარო. თავისი აღტაცება მეუღლესაც ატნობა მოკლე დებეით — „მოგილოდავთ“. ამით, — წერს ს. ორჯონიკიძე, — მე ვეყავურს მივსვდი, მაგრამ მალე გავიგე, რომ მოსდა რვეოლუცია.

სერგო დაუყოვნებლივ გაემართა პოკროვსკისაკენ და ორი დღის შემდეგ ჩავიდა სოფელში.

— ვაშა! ვაშა! რვეოლუცია! — ყვიროდა ის.

1917 წლის 2 მაისს იაკუტსკიდან გავიდა ჰოლიტგადასასლებულთა პირველი პარტია, მათ შორის იყო ს. ორჯონიკიძე.

იაკუტ ხალხს დღესაც სიყვარულით იგონებს და პატივს მიაგებს სერგო ორჯონიკიძის სახელს.

# ილია ჭავჭავაძე ნაღმნური საუნჯე

ი. ჭავჭავაძე ვლითადი სიყვარულით ემსახურებოდა ხალხს და ღრმად სწამდა მისი მომავალი. დიდ მწერარს სჯეროდა, რომ ისტორიის შემოქმედი ხალხია და ყველაფერი კარგი, რაც გვახარებს და გვაამყებს, ხალხის წიაღში შეიქმნა. უბრალო აღმართა სიყვარულით აიხსენბა ის, რომ ი. ჭავჭავაძემ სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისთანავე ყურადღება მიაქცია ხალხის სულიერ საგანძურს და ყოველდღიური ზრუნვის საგნად გაიხადა იგი. ქართული ფოლკლორის შეკრება და შესწავლა, ისევე, როგორც მრავალი წამოწყება და ფართო მნიშვნელობის ეროვნული საქმე, უშუალოდ უკავშირდება დიდი ილიას სახელს და მისი თაოსნობით მებრძოლ თერგდალეულთა თაობას.

მიუხედავად იმისა, რომ ი. ჭავჭავაძემ მრავალი საზოგადოებრივი საქმით იყო დატვირთული, მაინც პოულობდა დროს, ზუპირსიტყვიერების ნიმუშები ჩაეწერა. მისი შეკრებილი ლექსების ნაწილი დაიბეჭდა აქრონალ „კრებულში“ „გლეხური სიმღერების“ სახელწოდებით, ნაწილი კი პეტრე უმიკაშვილის კრებულ „ხალხურ სიტყვიერებაში“ გამოქვეყნდა. ილია ერთ ბარათში კირილე ლორთქიფანიძეს სწერდა: „გიგზავნი გლეხურ სიმღერებს. ოცდაათზე მეტია. გამოიხოჯე. სხვა ლექსებს ვეღარ გიგზავნი მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა...ჭერ ეს იმყოფე, კი სიმღერება“.

ი. ჭავჭავაძის მიერ ხალხური შემოქმედების ნიმუშების შეკრებამ და გამოქვეყნებამ დიდი გამოხმაურება და მოწონება ჰპოვა. მას მრავალი მიმდევარი გაუჩნდა. რაფიელ ერისთავი იმავე „კრებულში“ წერდა: „ი. ჭავჭავაძემ გვიჩვენა რამდენიმე ნიმუში გლეხების სიმღერე-

ბისა და პ. უმიკაშვილი კი ამხანაგებს გამოსაცემად მისგან შეგროვებულს ძველს სიმღერებს და ჩვენც მოუთმენლად მოველით ამ გამოცემას“.

ი. ჭავჭავაძის დამსახურებად ითვლება ისიც, რომ იგი იყო ერთ-ერთი შემდგენელი და ინიციატორი ხალხური სიტყვიერების შეკრების პროგრამისა, რომელიც წერაკითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ 1882 წელს გამოსცა.

ფოლკლორის შეკრება და გამოქვეყნება ილიას გადაუღებელ საშვილიშვილო საქმედ მიაჩნდა. „ივერის“ ერთ-ერთ მოწინავე წერილში იგი წერდა: „ხალხური სიტყვიერების შეკრებას დიდი გავლენა უნდა ჰქონდეს ხალხის გონებისა და ცნობიერების განვითარებაზედ, ეროვნულ წარმატებაზედ.“ ამიტომ იყო, რომ მწერალს „ივერის“ გარშემო შემოკრებილი ჰყავდა მრავალი ფოლკლორულ-შემკრებლობით მუშაობის ენთუზიასტი და ზეპირსიტყვიერების ნიმუშების პუბლიკაციას გაზეთის ფურცლებზე დიდ ადვილს უთმობდა. ამასთან დაკავშირებით პოეტი იოსებ გრმოსმევი წერს: „როცა მკვლევარი გაზეთ „ივერის“ კომპლექტებს ათავსობურებს, რაკციფერებელი რჩება ილიას დაუშურველი მუშაობით. ამ დიდი მწერლის სული და ავტორიტეტი გაზეთის ყოველ ჰქარში გამოსქვივის. აი, საინფლო ლექსები ხომ ერთი შეხედვით უბრალო რამეა, მაგრამ ვინაიდან ეს აფორიზმები, ასე სათუთად დალაგებულნი, „ივერიაში“ იყო დაბეჭდილი, ილიას ავტორიტეტის წყალობით ხალხში სწრაფად გავრცელდა და ამით ნაირფერობა შესძინა ქართულ ლიტერატურას“.

„ივერის“ ყოფილი თანამშრომელი ა. ახანაზაროვი, ეგონებს რა დი-

დი მწერლის სარედაქციო მუშაობას, აღნიშნავს: „ილიას ძველ ჟეკარა ხალხური ლექსები და ხალხური პოეზიით აღტაცებში მოდიოდა“.

ამ სიყვარულის მაჩვენებელი ისიც, რომ დიდი მწერალი საკუთარ ნაწარმოებებს ეპიგრაფად ზოგჯერ ხალხურ სტრიქონებს წარუბღღვრებდა ხოლმე. მაგალითად, პოემა „ქართლის დედა“ ასე იწყება:

გავიძიხე, ბერო მინდაც,  
მეფილი მაიბი მგლისაო,  
გაყოფილ უმცროსნი,  
ვისაც თავი აქვს ცელსაო.

აღსანიშნავია, რომ ეს ხალხური ლექსი თვით ილიას ჩაუწერია 1871 წელს სოფელ სტეფანწმინდაში.

ასევე საინტერესოა „კაცია-ადამიანის“ დასაწყისი: „სხვამ რაც უნდა სთქვას, მე კი ამ სიტყვების სიპართლით გავამხნევებ ჩემს თავსა: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უჯანაო“. სადა ხარ, ეხლა, ამ გონიერი სიტყვის მოქმელო? ვიცო, სადაცა ხარ: ხალხს ხარ, უხილაგო, და ხალხისა ხარ ისიც ვიცო, რაცა გქვიან: შენ ხალხის გენის გეძახიან. ისიც ვიცო, რა თვისებისა ხარ: შეუტლიმოლი და ყოველთვის მართალი ხარ.“

ი. ჭავჭავაძის მიერ შეკრებილი



ფოლკლორულ მასალებზე დაკვირ-  
ვება გვიჩვენებს, რომ მას უფრო  
მეტად ხალხური საგმირო-სისტო-  
რიო სიტყვიერების ნიმუშები  
აინტერესებდა. ასეთია, მაგალითად,  
„მეფე ერეკლე“:

ვერ გაიგეთა, ქართველნი,  
შაგენხთო რკინის კარია,  
აღარ გვაყო მიფე ერეკლე,  
ცას სწვდება ბლოვის ზარია.  
...მცხეთას კუბო ღვას ოქროსი,  
ანთია ეკლატარია,  
შეიგა წესე მეფე ერეკლე,  
ბატრატონთა გვარია.

გვხვდება რამდენიმე ლექსი, რომ-  
ლებიც გმირობისა და ვაჟკაცობის  
ერთგვარ კოდექსს გამოხატავენ:

ვაჟკაც რას გამოადგება  
სოფელს შეწენა თავისა,  
ხმაღს უნდა აჭრევიწებდეს,  
იმედი ჰქონდეს მკლავისა.  
კარგი უმა შინა კარგია,  
ხმაღს რომ შეიქმს ელვასა,  
მოციქულობდეს იხარა,  
შუბი ავდებდეს ენასა.

შეწერალი დიდ ყურადღებას იჩენ-  
და სასიმილო ტექსტებისადმი.  
პ. უმიკაშვილის „ხალხურ სიტყვიერ-  
ებაში“ დაბეჭდილია ი. ჭავჭავაძე-  
ძის მიერ ჩაწერილი ლექსები, რომ-  
ლებსაც დღესაც მღერაინ:

*ნა-ა*

ბერი კაცი ვარ, ნუ მომკლავ,  
ყველა დაიწვება გომხასა,  
სადუარ რომ მოგვეყვები,  
ბიბუე შევილსა და მძიხასა.

ანდა:

თუმი ვარ გოგოლაური,  
ნუ მურრობ ტალავარუნდა,  
ლაკრავ ფხხს, ვაღფირანდები  
ბახტიონ ვალავანუნდა,  
ხუთი ვერ მოკლა ხმაღხანმაღ,  
გამოკლეთი კახის ქალუნდა.

ი. ჭავჭავაძეს დიდად სიამოვნებ-  
და თურმე ხალხური სიმღერების  
მოსმენა. გ. ლასხიშვილი თავის მე-  
მუარებში წერს: „განსაკუთრებით  
უყვარდა სიმღერა „მუმლი მუხასა“.  
მის შესრულებაში ხშირად თვითო-  
ნაც იღებდა მონაწილეობას.

**მუმლი მუხასა**  
**გარს იხევიდა, —**

დაიწყებდა ილია და ბოლოს მაღალი  
ხმით, მაგიდაზე მუშტის დაკვრით,  
გათათებდა:

**მუმლი დახარო,**  
**მუმლი დახარა.**

ისეთი ახალგაზრდული გატაცები-  
თა და გრძობით დაამღერებდა,  
თითქოს თვალწინ ხედავდა, როგორ  
იხრბობდნენ საქართველოს მტერ-  
ნი (მუმლი) და როგორ გადარჩა  
მუხა (საქართველო)“.

რადგან სიტყვა სასიმილო ტექს-  
ტებზე ჩამოვარდა, აქვე უნდა  
ვთქვათ, რომ ი. ჭავჭავაძე დიდად  
ზრუნავდა მუსიკალური ფოლკლო-  
რის დაცვისა და განვითარებისათ-  
ვის. საკმარისია გავიხსენოთ მისი



ნაშრომი „ქართული ხალხური მე-  
სიკა“, სადაც ვკითხულობთ: „ქარ-  
თული ხალხური მუსიკა არა ჭავს  
ევროპულს. მგარამ იგი არც აღმო-  
სავლურს ემსგავსება თავისი ბუნო-  
რით. ჩვენმა ხალხურმა საერთო მუსიკამ  
შეინარჩუნა ის ძველი თვითყოფა-  
დობა და დამოუკიდებლობა, რო-  
მელიც მას თავიდანვე ახასიათებდა“.


ი. ჭავჭავაძე ბევრს ფიქრობდა  
ფოლკლორისტიკის თეორიულ სა-  
კითხებზეც. მაგალითად, მან ზუს-  
ტად განმარტა ზღაპარი, იგავი და  
არაკი. იგი წერს: „ზღაპარი, იგავი,  
არაკი სიბრძნე არის და სიტყუც-  
სიტყუ თვითონ ამბავია, სიბრძნე—  
შეგ ჩასახული აზრია“. ზღაპრისა  
და იგავის აღმზრდელით ფუნქ-  
ციანზე საუბრისას დიდმა მწერარმა  
აღნიშნა, რომ ამ ეწარების ნაწარმოე-  
ბები „შეკუს ვესწავლის, გვიარ-  
გებს, ზნეს გვიწერთნის, ავსა და  
კარგს გვანიშნებს ერთმანეთში გა-  
სარჩევად“.

ი. ჭავჭავაძემ თავისი ბრძნული  
გამონათქვამებით დიდი ამაგი დას-  
ლო ქართულ ფოლკლორისტიკას.  
ისიც ხომ აღსანიშნავია, რომ იგი  
ხალხურ სიტყვიერებას ოსტატურად  
იყენებდა თავისი უკვდავი ქმნილე-  
ბების დაწერისას.

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ,  
რომ მოსწავლე ახალგაზრდობის  
ერთი ნაწილი დიდ ინტერესს იჩენს  
ხალხური პოეტური შემოქმედები-  
სადმი. „პიონერში“ უკვე რამდენ-  
იმე წელიწადია არის განყოფილება  
„შეგვიბოთ ხალხური საუნჯე“,  
სადაც ბავშვების ჩაწერილი ფოლ-  
კლორული ნიმუშები იბეჭდება.  
ჩვენი გოგო-ბიჭების ეს თოსნობა  
ი. ჭავჭავაძის დაწყებული საქმის  
განგრძობაა, უკვდავი მწერლის  
ხსოვნისადმი პატივისცემის გამოხა-  
ტულებაა.

**ნოდარ შამანაძე,**

ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.



ილიას  
შაკიშილი

ილიას  
და  
აბაის  
ქაშლი  
თბილისი

ილიას  
საუბრო  
ოთაი

## ბიბი მოფხენილია

ქალაქის ზოოპარკში ცხოვრობდა პატარა ბუქემოთი ბიბი.

ალბათ მკითხავეთ, მერედა, რა არის აქ გასაკვირი? თითქმის ყველა ზოოპარკში არიან ბუქემოთები, ზოგან დიდებში, ზოგან პატარებში, ზოგან კი დიდებშიც და პატარებშიც...

მაგრამ საქმე ის გასწავთ, რომ ბიბი სხვა ბუქემოთებს სულაც არ ჰგავდა, ერთი უცნაური და ასირებელი უინძე იყო: თამაში იმას არ უყვარდა და გართობა. არად მიანდა არც ნაირ-ნაირი ტკბილეული, პატარები სიამოვნებით რომ უწილადებდნენ სოლმე ჯიბე-უბიდან.

ზოოპარკში სწორად ზღვა სალსი ირეოდა. ბუქემოთის ერთამელი იქაურობას აურუებდა. ის კი, ვითომც არაფერიო, იდგა ბაიყუმივით და რაღაცაზე ფიქრობდა. ზოგჯერ თავს ასწევდა, ცის კიდურს ოსვრით გასდებდა. მაშინ უუკველად შენიშნავდით, რომ ძალიან, ძალიან სევდიანი თვალები ჰქონდა.

არავინ იცოდა, რა აფიქრებდა ბიბის. ან საიდან უნდა სცოდნოდა, თუკი თვითონ არავის გაუშვლდა თავის სადარდელს.

მომკვლელები მოფერებს არ აკლებდნენ პატარა ბუქემოთს, ათას რამეს სთავაზობდნენ, მაგრამ ბიბის არაფერი ეშველა, ვერა და ვერ გამხიარულდა.

და, ვინ იცის, სადამდე გასტანდა ასე, ერთ შემოსევეას ძირფეხიანად რომ არ შეეცვალა პატარა ბუქემოთის ცხოვრება.

ნანა ჯოსარიძე  
მხატვარი

ქარლო შაჩალიძე



# უსნაუჩი ზეჰეოთი

## ბიბი

ვლიპარი

ერთხელ, საღამოსანს, როცა ბიბი თავის გუბურაში თვლებდა, უცნაურმა ხმამ გამოაფხიზლა. ასეთი ხმა აღრე არასოდეს გავიგონა. სმენად იქცა.

ხმა გამეორდა. ასლა უფრო მკაფიოდ და ნაწყვეტ-ნაწყვეტ. ბიბიმ მიმოიხედა, მაგრამ ვერაფერი ვერ დაინახა.

„ნეტბე რა უნდა იყოს?“ შეფიქრინდა ბუქემოთი. რაც ფრინველი და ცხოველი იცოდა, ყველა გაისუნა, მაგრამ ასეთი ხმა არც ერთს არ ჰქონდა. ბოლოს დაასკვნა; ნამდვილად რომელიმე ზღაპრული არსება მოვიდა ჩვენთან ზოოპარკში და მოლოდინით გაიტრუნა.

ხმა კი ასლოვდებოდა და ასლოვდებოდა...

ბიბის მოთმინება დაეღია. ღობეს მიაშურა. სუნთქვა-შეკრულმა ვაზს გახვდა და... სხსტად დარჩა.

როგორ გვინათ, რა ისლდა? უცხო ფრინველი თუ ჯალოსური არსება? არც ერთი და არც მეორე. მოკირწყულულ ბილიკზე სტევენა-სტევენით არხნივად მოკუნ-კულვდა ჩვეულებრივი პატარა ბიჭუნა - ამოჩანული

სალათი, გადატყავებული მუსლი, ყელზე კი საკენჭური...

„ეხვე შენ!“, მოვიღმა ბიბი. რას წარმოიდგენდა, რომ ბუქემო შერჩებოდა ხელში, ასეთი ბიჭუნის შერი ქვეყნად რა არის! ის იყო, იმედგაცრუებულმა უკან გაბრუნება დაბაიბა, რომ უეცრად შენიშნა, ბიჭს მოკუმული ტურბით უცნაურად გამბრწყვლებული მილაკი ეჭირა.

„აი, თურმე რა ყოფილა!“ - პირდაღებული ბიბი სტევენა მილაკს მიანერდა.

ამასობაში ბუქემომც მოკპრა თვალი რკინის ღობესთან ბტუზულ ბუქემოთს. არც აცია, არც აცხვლა, პირდაპირ მასთან მიიბრინა და თვალგაბრწყინებულმა შესცინა:

- გამარჯობა, სქელო, გინდა, გავიწოთ ერთმანეთი?



„ნეტავი ჩემგან რა უნდა?“ — გაიფიქრა ბიბიმ. სხვა დროს ასეთ ბიჭუნას სმასაც არ გაცემდა, უბრალოდ, ზურგს შექცევდა და გაეცლებოდა. ახლა კი წასვლაც კი ვერ მოუფიქრებინა.

ბიჭი თავისას ვანავრძობდა:  
— შე გვიმ შევია, ესე იგი, გიორგი. შენ? შენ რაღა გეჭია?

— ბიბი! — ამოღერდა ბიბიმ უსალისოფ.  
— ანუ?  
— რა ანუ? — ბუკემოთმა გაკვირვებით ასედა ბავშვს.  
— რა და, ნამდვილი სასული რა გაქვს?  
— რა ვიცი... ალბათ ბიორბი, — მიუფო მცირეოდენი ყოყმანით დაუბნა.

— პა-პა-პა-პა! — გადიაკისკისა ვიგომ. — აი, შესმის სასული...  
— რა უკვე შეტისმეტია! რომ დახინის კიდვე! ვითომ რაო, რა თქვა ისეთი?!“ გამწყურაღმა ბიბიმ პირი იქით მიიბრუნა.

— რა გემუბუტები, რა, — შეეხვეწა ბიჭი. — მე ბიბის დავიძახებ, მორჩა და ვათავდა, ძალანავ კარგი სასულია!

ბუკემოთი შაინც იბღვირებოდა.  
შაინც ვიგომ ანაზნად სული წინ გაიწოდა, სწრაფად გამალა მომუკული თითები და ეშმაკურად ჩაულაპარაკა:  
— ნახე, რა შექვს.

პატარა სელისგულზე ის უცნაური ნივთი გაბოზნდა.  
— ეგ რა არის? — გაუბუღდავად ჰკითხა ბიბიმ.  
— შენ რა, არასოდეს გინახავს? — გაოცებისაგან თვალები ჰკრია ბიჭმა.  
— არა.

— რა არის და... სასტეენი. სულს შეუბერავ და დაუსტევენს, — აუხსნა აღტაცებულმა, — თანაც ყველაზე უკეთესია... ასეთი მსოლოდ ფეხბურთის მსაჯებს აქვთ. სედავ; როგორ პრიადებს? სმაქ რა მავარი აქვს.

ბიბიმ არც მსაჯი იცოდა, არც ფეხბურთისა გაგეზოდა რამეა, სასტეენი კი შართლავ მოეწონა. „რა კარგი რამეა“, ფიქრობდა თავისთვის და თვალს ვუღარ აცილებდა, „ჩაიდე პირში და უსტეინე, რამდენიც გინდა“.

ვიგი კი არ ცსრებოდა, აქებდა და აღიდებდა სასტევენს. რა აღარ თქვა, რას არ შეადარა. მერე მოიმაზრჯვა და ისეთი ძალით ჩაბჭერა, რომ პაჭუა ჰვორდლიანი ცსვირდი კი აუთამაშდა.

სუცე უცნაური ამბავი დატრიალდა. სტევენზე, თითქოს ნიშანს ელოდნენ, გვერდით ვალაიში მყოფმა შაინებუნებმა სამინილი ქოსთოთი და წივილ-მანავილი მორთეს. იმათ არც ვირები ჩამორჩნენ, მოელო ძალით აყროყინდნენ. აქვთ კიდევ ჩიტები ავიჯვოდნენ და ირგვლეჯ ისეთი აურზაური აღესდა, გეგონებოდათ, ცა ჩამოიქცია.

— ვაიმე, დარაჯმა არ გაიფოს! — შეწუხდა ბიბი. ბიჭი შემოპარულს ჰგავდა, თორემ ასე გვიან ზოთაპარკში ვინ შემოუშვებდა.

— საიდან მოსვდი, ზოთაპარკი სომ უკვე დაკეტია? — კითხა შეტუნებულმა.

